საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტრო

BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები

პროგრამის კატალოგი

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება: № 42, 28 / 03 / 2018

European Commission
TEMPUS

BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

სწავლების საფეხური	მაგისტრატურა
პროგრამის დასახელება	გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები
კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი	საზღვაო ინჟინერიის მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელები	მიხეილ ლეჟავა, პროფესორი; m.lejava@bsma.edu.ge ზაზა შუბლაძე, ასოცირებული პროფესორი; z.shubladze@bsma.edu.ge
პროგრამის განხორციელების ადგილი	ბათუმი, რუსთაველის ქ.№53 ელ.ფოსტა: info@bsma.edu.ge
სწავლების ფორმა	დღის სწავლება -2 სასწავლო წელი (4 აკადემიური სემესტრი)
პროგრამის მოცულობა	120 ECTS
პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა	სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვება საზღვაოსნო მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის - ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ელექტროინჟინერიაში და ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდებს (ანკეტა-კითხვარის სახით განაცხადში მითითებულ ტიპის ტესტს) და საზღვაო აკადემიის მიერ „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცდის ჩატარების წესი“-თ დადგენილი შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებს . პროგრამაზე ჩასარიცხად პირი, ვიდრე ჩაბარებს დარგობრივ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას, ვალდებულია დაადასტუროს B2 დონის ინგლისური ენის ცოდნა (წარმოადგინოს შესაბამის სერტიფიკატი ან ჩააბაროს საზღვაო აკადემიის მიერ ორგანიზებული შესაბამისი გამოცდა).
სწავლების ენა	ქართული ენა
სწავლების ფორმატი	დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირების, ახსნა-განმარტებითი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვა

პროგრამის მიზანი

წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი მიზანია:

- დაინტერესებულ პირთათვის საზღვაო ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭება.
- მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება გემების ენერგეტიკული და ელექტროენერგეტიკული დანადგარების მომსახურე სანაპირო სერვისების განსახორციელებლად.
- საზღვაო ტრანსპორტის ფუნქციონირების, რეგულირებისა და კონტროლთან დაკავშირებულ კერძო ან სახელმწიფო დაწესებულებებში მართვის დონის თანამდებობის დასაკავებლად;
- საზღვაო დარგის სპეციალისტებისათვის პედაგოგიური და კვლევითი უნარების გამომუშავება და განვითარება
- განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად მომზადებაში ხელშეწყობა;
- განუვითაროს ორგანიზაციულ-მმართველობითი უნარები და კომპეტენციები.

პროგრამის შედეგები

საგანმანათლებლო საქმიანობა საზღვაო აკადემიაში ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და : მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის (STCW) შესაბამისად.

პროგრამა უზრუნველყოფს მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობის სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც შეუძლია იმუშაოს:

- საზღვაო ტრანსპორტთან და პორტებთან დაკავშირებულ კერძო კრუინგულ, სტივიდორულ, კონსალტინგურ და სხვა კომპანიებში;
- სახელმწიფო სამსახურებში, რომლებიც დაკავშირებულია საზღვაო ტრანსპორტის რეგულირებასა და კონტროლთან;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

პროგრამის სტრუქტურა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „გემების ენერგეტიკული და ელექტრული სისტემები და დანადგარები ” I სემესტრი შედგება სპეციალური არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. მათი არჩევითობა გამომდინარეობს იქიდან რომ, მაგისტრანტი ირჩევს იმ სასწავლო თეორიულ კურსს, რომელიც არ იყო გათვალისწინებული მის საბაკალავრო პროგრამაში და წარმოადგენს სამაგისტრო პროგრამით მინიჭებული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სავალდებულო კომპონენტს (იხილეთ დიაგრამა კრედიტების აღნიშვნით)

კურიკულუმში კრედიტები განაწილებულია საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა სახის კომპონენტს შორის.

საზღვაო ინჟინერიის მაგისტრის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად კურსდამთავრებულმა უნდა აითვისოს 120 ECTS კრედიტი. ყოველ სასწავლო წელს სტუდენტს ეძლევა საშუალება სტანდარტულად აითვისოს 60 კრედიტი (30 კრედიტი თითოეულ სემესტრში). ყოველი სემესტრის ხანგძლივობა შეადგენს 19 კვირას, საიდანაც 15 კვირა ეთმობა მეცადინეობების ჩატარებას, ხოლო 4 კვირა – სტუდენტთა საგამოცდო სესიის მიმდინარეობას;

დასაქმების სფერო

საზღვაო ინჟინერიის მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს:

- საზღვაო ტრანსპორტთან და პორტებთან დაკავშირებულ კერძო კრუინგულ, სტივიდორულ, კონსალტინგურ და სხვა კომპანიებში;
- სახელმწიფო სამსახურებში, რომლებიც დაკავშირებულია საზღვაო ტრანსპორტის რეგულირებასა და კონტროლთან;
- სანაოსნო და კრუინგული კომპანიები, რომლებიც თანამშრომლობენ საზღვაო აკადემიასთან და უზრუნველყოფენ სტუდენტებს საზღვაო პრაქტიკით, ამავე დროს წარმოადგენენ კურსდამთავრებულთა ძირითად დამსაქმებლებს აკადემიის დამთავრების შემდეგ;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

საზღვაო ინჟინერიის მაგისტრს უფლება აქვს გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში.

ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს არჩეული აკადემიური პერსონალი და მოწვეული დარგის სპეციალისტები:

- *პროფესორი –4 ;*
- *ასოცირებული პროფესორი –8 ;*
- *მოწვეული დარგის სპეციალისტები -6*

მატერიალური რესურსი

მაგისტრანტის სწავლებისა და მომზადების პროცესში გამოიყენება: სასწავლო ლაბორატორიები, რომლებიც უახლესი თანამედროვე კომპიუტერული გამზომი ინსტრუმენტებითა და ლაბორატორული დანადგარებითაა აღჭურვილი. ელექტროტექნიკის, ელექტრონიკის, ავტომატიკის, ჰიდრავლიკისა და პნევმატიკის სასწავლო ლაბორატორიები ; დიზელის რეალური ძრავებით აღჭურვილი სამანქანე დარბაზი. სამაშველო კანჯოს წყალზე დაშვების ტრენაჟერი. სატაკელაჟო საქმის ლაბორატორია.

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მიზნებისა და სწავლის შედეგების ეფექტურობის მისაღწევად საზღვაო აკადემია გამოიყენებს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებს, პროექტორებს და სადემონსტრაციო მონიტორებს.

შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და საზღვაო აკადემიის 2012 წლის 17 აგვისტოს სენატის №3/4 გადაწყვეტილებებით ბრძანებით დამტკიცებული „გამოცდების და შეფასების პროცედურით“.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ყოველ სასწავლო კომპონენტში ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

ცოდნის შემოწმების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსში.

ღირსება, ცოდნა, გამოცდილება !